

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი



**სს „ბითიეი ბანკი“
ფინანსური ანგარიშგება**

*2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	6
2. მომზადების საფუძველი.....	6
3. ფუნქციონირებადი საწარმო	11
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	12
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	26
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27
7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	27
8. კლიენტებზე გაცემული სესხები.....	28
9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	31
10. ძირითადი საშუალებები.....	32
11. საინვესტიციო ქონება	33
12. არამატერიალური აქტივები	33
13. გადასახადები.....	34
14. სხვა აქტივები და ვალდებულებები	36
15. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე.....	37
16. ვალდებულებები კლიენტების წინაშე.....	37
17. სხვა ნასესხები სახსრები.....	38
18. სუბორდინირებული სესხი.....	38
19. ანარიცხები.....	39
20. კაპიტალი	39
21. პირობითი ვალდებულებები.....	39
22. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან	41
23. სხვა შემოსავალი	42
24. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი.....	42
25. გაუფასურების სხვა რეზერვები და ანარიცხები	43
26. რისკის მართვა	43
27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება.....	51
28. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი.....	53
29. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	54
30. კაპიტალის ადეკვატურობა	55
31. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები.....	56

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს „ბითიეი ბანკის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს „ბითიეი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგებისა და ზარალის, სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მოზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსაზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმეგვრად დავგვემოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორების განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლის სისტემა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მოზადებისა და სამართლიანი წარდგენისთვის, რათა დაგვეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვეჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „ბითიეი ბანკის“ ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მნიშვნელოვანი გარემოებები – არსებითი განუსაზღვრელობა

კვალიფიკაციის მიცემის გარეშე ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაზე, რომელიც ასახავს „ბანკის“ სრულ ზარალს 5,281 ათასი ლარის ოდენობით 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და, ამავე თარიღისთვის „ბანკის“ დაგროვილ ზარალს 2,170 ათასი ლარის ოდენობით. ეს გარემოება, მე-3 შენიშვნაში ასახულ სხვა გარემოებებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რომელიც დაკავშირებულია იმ მოვლენებსა და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად ექვეყნებ დააყენონ „ბანკის“ უნარი, განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

მნიშვნელოვანი გარემოებები – გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დასკვნის კვალიფიკაციის გარეშე ვამახვილებთ ყურადღებას ფინანსური ანგარიშგების 29-ე შენიშვნაზე, რომელიც განმარტავს „ბანკის“ საფინანსო საქმიანობის მნიშვნელოვან კონცენტრაციას დაკავშირებულ მხარეებთან.

17 ივლისი 2013 წ.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ბანკი"

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2012	2011 გადაწარი- შებული (მე-2 შენიშვნა)	2010 გადაწარი- შებული (მე-2 შენიშვნა)
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	8,305	6,491	12,843
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	9,770	5,774	8,185
კლიენტებზე გაცემული სესხები	8	75,409	71,564	48,221
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:				
- გასაყიდად არსებული	9	20	-	40
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	9	2,873	3,533	4,371
ძირითადი საშუალებები	10	17,335	20,799	22,509
საინვესტიციო ქონება	11	10,478	11,822	11,245
არამატერიალური აქტივები	12	415	592	593
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები	13	199	198	198
სხვა აქტივები	14	1,923	2,108	1,738
სულ აქტივები		126,727	122,881	109,943
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	15	6,273	8,598	4,009
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	16	35,228	27,236	19,947
სხვა ნასესხები სახსრები	17	49,802	45,452	44,935
სუბორდინირებული სესხი	18	2,507	2,528	2,683
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	13	959	1,717	1,908
ანარიცხები	19	30	100	218
სხვა ვალდებულებები	14	821	862	421
სულ ვალდებულებები		95,620	86,493	74,121
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	20	30,000	30,000	30,000
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი		3,302	5,207	5,579
(აკუმულირებული ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება		(2,195)	1,181	243
სულ კაპიტალი		31,107	36,388	35,822
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		126,727	122,881	109,943

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად „ბანკის“ დირექტორთა საბჭოს მიერ:


კაირატ კენჭეგარინ
გენერალური დირექტორი




ნატალია მოდრეკელიძე
მთავარი ბუღალტერი

17 ივლისი 2013 წ.

6-56 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ბანკი"

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2012	2011 გადაანგარი- შებული (მე-2 შენიშვნა)
საპროცენტო შემოსავალი			
კლიენტებზე გაცემული სესხები		14,733	11,086
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - დაფარვის ვადამდე ფლობილი		384	445
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		308	483
		<u>15,425</u>	<u>12,014</u>
საპროცენტო ხარჯი			
სხვა ნასესხები სახსრები		(4,773)	(3,449)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		(2,573)	(1,086)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(500)	(505)
სუბორდინირებული სესხი		(223)	(228)
		<u>(8,069)</u>	<u>(5,268)</u>
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		7,356	6,746
სესხის გაუფასურების წმინდა რეზერვის გაუქმება	8	(1,982)	2,636
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის გაუქმების შემდგომ		<u>5,374</u>	<u>9,382</u>
წმინდა საკომისიო შემოსავალი	22	1,051	1,062
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან:			
- გარიგებებიდან		1,218	1,330
- საკურსო სხვაობებიდან		(168)	(55)
წმინდა ზარალი საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	11	(156)	(748)
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	10	(121)	-
წმინდა ზარალი საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		(78)	(70)
სხვა შემოსავალი	23	777	973
		<u>2,523</u>	<u>2,492</u>
არასაპროცენტო შემოსავალი			
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	24	(5,420)	(4,706)
სხვა საოპერაციო ხარჯები	24	(4,437)	(4,772)
ცვეთა და ამორტიზაცია	10,11	(1,558)	(1,727)
სხვა გაუფასურება და რეზერვები	25	(564)	11
		<u>(11,979)</u>	<u>(11,194)</u>
არასაპროცენტო ხარჯი			
მოგების გადასახადით დასაბეგრი (ზარალი)/მოგება		(4,082)	680
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	13	464	145
წლის (ზარალი)/მოგება		<u>(3,618)</u>	<u>825</u>

6-56 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ზითიეი ბანკი"

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

	<u>შენიშვნა</u>	<u>2012</u>	<u>2011</u> <u>გადაანგარი-</u> <u>შებული</u> <u>(მე-2 შენიშვნა)</u>
წლის (ზარალი)/მოგება		(3,618)	825
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
შენობა-ნაგებობების გადაფასებით მიღებული ზარალი	10	(1,957)	(305)
სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	13	294	46
წლის სხვა სრული ზარალი, გადასახადის გათვალისწინებით		(1,663)	(259)
წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი		<u>(5,281)</u>	<u>566</u>

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ზითივი ბანკი"

ფინანსური ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

	საემისიო აქციები	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)	სულ მგრძობე- ლობა
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (კორექტირებამდე)	30,000	5,579	(1,017)	34,562
შეცდომების კორექტირებები (მე-2 შენიშვნა)	-	-	1,260	1,260
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	30,000	5,579	243	35,822
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი) (გადაანგარიშებული)	-	(259)	825	566
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა, მოგების გადასახადის გათვალისწინებით	-	(113)	113	-
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	30,000	5,207	1,181	36,388
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(1,663)	(3,618)	(5,281)
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა, მოგების გადასახადის გათვალისწინებით	-	(242)	242	-
31 დეკემბერი, 2012 წ.	30,000	3,302	(2,195)	31,107

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ბანკი"

ფინანსური ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2012	2011 გადაანგარი- შებული (მე-2 შენიშვნა)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული პროცენტი		14,612	12,117
გადახდილი პროცენტი		(3,001)	(1,557)
მიღებული საკომისიო		1,377	1,252
გადახდილი საკომისიო		(327)	(190)
უცხოურ ვალუტებში განხორციელებული ოპერაციებიდან რეალიზებული წმინდა მოგება		1,218	1,330
სხვა მიღებული შემოსავალი		778	950
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(5,415)	(4,468)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯი		(4,429)	(4,775)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		4,813	4,659
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება</i>			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(4,058)	2,082
კლიენტებზე გაცემული სესხები		(7,486)	(26,706)
სხვა აქტივები		(45)	(677)
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(2,302)	4,643
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		8,039	7,131
სხვა ვალდებულებები		(38)	214
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადის გადახდამდე		(1,077)	(8,654)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,077)	(8,654)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		(20)	-
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან და გამოსყიდვიდან		675	946
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	11	-	-
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		2,441	1,796
ძირითადი საშუალებების შეძენა		(334)	(914)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		180	786
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		2,942	2,614
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		-	-
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(15)	(312)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		1,814	(6,352)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისი	6	6,491	12,843
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო	6	8,305	6,491

6-56 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ზითიფი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „ზითიფი ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) წარმოადგენს, სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2000 წლის 27 იანვარს ორი ქართული ბანკის გაერთიანების შედეგად: სს „ექსპორტ-იმპორტ ბანკი“ და სს „დისქაუნტ ბანკი“. „ბანკი“ რეგისტრირებულია 2000 წლის 31 იანვარს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში სარეგისტრაციო ნომრით 2/5-98 და სახელწოდებით სს „სილქ როუდ ბანკი“.

2003 წლის 30 მაისს „ბანკმა“ შეიძინა სს „ეა ბანკის“ აქტივები და ვალდებულებები.

2005 წლის 23 სექტემბერს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების (ნომერი 2/5-98) შესაბამისად, „ბანკის“ აქციონერები შეიცვალნენ, „ბანკსაც“ შეეცვალა სახელი და ეწოდა სს „ბტა სილქ როუდ ბანკი“, ხოლო 2008 წლის 8 მაისს, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის # 176-რ ბრძანების შესაბამისად, „ბანკს“ შეეცვალა სახელი და ეწოდა სს „ზითიფი ბანკი“.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბანკს“ აქვს სათავო ოფისი და შვიდი სერვის ცენტრი თბილისში, ერთი სერვის ცენტრი ფოთში, ერთი სერვის ცენტრი ქობულეთში და ერთი ფილიალი და ერთი სერვის ცენტრი ბათუმში.

„ბანკი“ იღებს ანაზრებს მოსახლეობისგან, გაცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. „ბანკის“ იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ზაარბრუკენის მოედანი, 2. „ბანკი“ იმართება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ და თავის საქმიანობას ახორციელებს # 238 ლიცენზიის საფუძველზე.

„ბანკის“ თანამშრომლების რაოდენობა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 250 (2011 წ.: 215; 2010 წ.: 192).

„ბანკის“ იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ზაარბრუკენის მოედანი, 2.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ბანკის“ აქციონერები არიან:

<i>აქციონერი</i>	<i>2012</i> <i>%</i>	<i>2011</i> <i>%</i>	<i>2010</i> <i>%</i>
ფინანსური ჯგუფი „სილქ როუდი“ (საქართველო)	50.99	50.99	50.99
სს „ზითიფი ბანკი“ (ყაზახეთი)	49.00	49.00	49.00
ფიზიკური პირები	0.01	0.01	0.01
სულ	100.00	100.00	100.00

„ბანკი“ უშუალოდ კონტროლდება საქართველოს მოქალაქე გიორგი რამიშვილის მიერ.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში მოხსენიებული, როგორც „ფასს“) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა მიწისა და შენობა-ნაგებობების, საინვესტიციო ქონების და გასაყიდად არსებული საივესტიციო ფასიანი ქაღალდების, რომლებიც ასახულია სამართლიანი ღირებულებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული. ანგარიშგება ლარშია წარმოდგენილი, რადგან „ბანკის“ ფინანსური ოპერაციების უმეტესობა შესრულებულია აღნიშნულ ვალუტაში. ოპერაციები სხვა ვალუტაში აღრიცხულია, როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითიეი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გადაანგარიშება და რეკლასიფიკაცია

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების გარკვეული მუხლები შესწორდა და რეკლასიფიცირდა, და შესაბამისად გადაანგარიშდა.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შემდეგნაირად გადაანგარიშდა და რეკლასიფიცირდა:

	<i>კორექტი- რებებამდე (2011)</i>	<i>გადაანგა- რიშება (2011)</i>	<i>რეკლასი- ფიკაცია (2011)</i>	<i>კორექტი- რებული (2011)</i>	<i>შენიშვნები</i>
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,266	(775)	-	6,491	ა), ბ)
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	5,024	775	(25)	5,774	ა), ბ), გ)
კლიენტებზე გაცემული სესხები	71,804	(240)	-	71,564	დ)
ძირითადი საშუალებები	20,876	(77)	-	20,799	ე), ვ)
საინვესტიციო კონცეზა	2,645	9,177	-	11,822	ზ), თ)
სხვა აქტივები	10,150	(8,067)	25	2,108	გ), ზ)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	6,420	-	2,178	8,598	კ)
სხვა ნასესხები სახსრები	49,044	(1,414)	(2,178)	45,452	კ), ლ)
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	1,615	102	-	1,717	მ), ნ)
ანარიცხები	-	-	100	100	ო)
სხვა ვალდებულებები	908	54	(100)	862	დ), ო), პ), ჟ), რ)
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	4,757	450	-	5,207	მ)
(აკუმულირებული ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება	(422)	1,603	-	1,181	ზ), ნ)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ზითიეი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გადაანგარიშება და რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება შემდეგნაირად გადაანგარიშდა 2012 წლის წარდგენასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:

	<i>კორექტი- რებებამდე (2011)</i>	<i>გადაანგა- რიშება (2011)</i>	<i>კორექტი- რებული (2011)</i>	<i>შენიშვნები</i>
მოგება-ზარალის ანგარიშგება				
საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან	11,216	(130)	11,086	ს)
სხვა ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	(4,574)	1,125	(3,449)	ლ)
სესხის გაუფასურების წმინდა რეზერვის გაუქმება	2,606	30	2,636	დ)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	(344)	289	(55)	ლ)
წმინდა მოგება/(ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	-	(748)	(748)	ზ)
წმინდა ზარალი საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	-	(70)	(70)	ზ)
სხვა შემოსავალი	1,639	(666)	973	ზ), მ), ს)
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	(4,366)	(340)	(4,706)	პ), რ)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,663)	(64)	(1,727)	ე)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(5,478)	706	(4,772)	ზ), ე), რ)
სხვა გაუფასურება და რეზერვები	-	11	11	ზ), ქ),
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	(53)	198	145	ნ)
წლის (ზარალი)/მოგება	471	354	825	

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება შემდეგნაირად გადაანგარიშდა:

	<i>კორექტი- რებებამდე (2011)</i>	<i>გადაანგა- რიშება (2011)</i>	<i>კორექტი- რებული (2011)</i>	<i>შენიშვნები</i>
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
წლის (ზარალი)/მოგება	481	344	825	ტ)
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი შენიშვნა-ნაგებობების გადაფასებით მიღებული ზარალი	(834)	529	(305)	თ)
სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	125	(79)	46	მ)
წლის სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი, წმინდა	(709)	450	(259)	მ)
წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი	(228)	794	566	ტ)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გადაანგარიშება და რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შემდეგნაირად გადაანგარიშდა და რეკლასიფიცირდა, 2012 წლის წარდგენასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:

	კორექტი- რებებად (2010)	გადაანგა- რიშება (2010)	რეკლასი- ფიკაცია (2010)	კორექტი- რებული (2010)	შენიშვნები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,826	7,017	-	12,843	ა), ბ)
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	15,230	(7,017)	(28)	8,185	ა), ბ), გ)
საინვესტიციო ქონება	2,034	9,211	-	11,245	ზ)
სხვა აქტივები	9,439	(7,729)	28	1,738	გ), ზ), ი)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	906	-	3,103	4,009	კ)
სხვა ნასესხები სახსრები	48,038	-	(3,103)	44,935	კ)
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	1,686	222	-	1,908	ნ)
ანარიცხები	-	-	218	218	ო)
სხვა ვალდებულებები (აკუმულირებული ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება	(1,016)	1,259	-	243	ზ), ი), ნ)

- ა) სებ-ში (საქართველოს ეროვნული ბანკი) სავალდებულო რეზერვის სახით განთავსებული თანხები 2,938 ლარის ოდენობით (2010 წ.: 2,836 ლარი), რომლებიც არ შეესაბამებოდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების განმარტებას, არასწორად იქნა კლასიფიცირებული გასულ პერიოდებზე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების სახით. ამ შეცდომის გამოსასწორებლად მოხდა მათი რეკლასიფიკაცია მოთხოვნებად საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.
- ბ) რეზიდენტ და არარეზიდენტ საკრედიტო ინსტიტუტებში მიმდინარე ანგარიშები 2,163 ლარის ოდენობით (2010 წ.: 9,853 ლარი), რომელიც აკმაყოფილებდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების განმარტებას, არასწორად იქნა კლასიფიცირებული გასულ პერიოდებზე, როგორც მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ. შეცდომის გასასწორებლად მოხდა მათი რეკლასიფიკაცია ფულად სახსრებად და მათ ეკვივალენტებად.
- გ) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების Western/Visa მიერ დაბლოკილი თანხები 25 ლარის ოდენობით (2010 წ.: 28), რომლებიც კლავსიფიცირებული იყო წინა პერიოდებზე, როგორც მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, რეკლასიფიცირებული იქნა სხვა აქტივების სახით.
- დ) 2011 წელს სესხის გაცემის გადავადებული საკომისიო კლიენტებზე გაცემული სესხების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისას არ იქნა გათვალისწინებული. შესაბამისად, გამოუმუშავებელი შემოსავალი შევიდა სხვა ვალდებულებების მუხლში. ამ შეცდომის გასასწორებლად 270 ლარის (2010 წ.: ნული) გადავადებული საკომისიო შემოსავალი რეკლასიფიცირებული იქნა სხვა ვალდებულებებიდან კლიენტებზე გაცემული სესხების მუხლში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის სათანადოდ გამოყენების მიზნით. ამორტიზებული ღირებულების დაკორექტირებამ ასევე გამოიწვია გაუფასურების რეზერვის შემცირება 30 ლარით 2011 წელს (2010 წ.: ნული).
- ე) სხვა ძირითადი საშუალებების გარკვეული მუხლები 517 ლარის ოდენობით (2010 წ.: ნული) არასწორად იყო კლასიფიცირებული წინა პერიოდებზე, როგორც მიმდინარე მშენებლობა და მათზე არ იყო დარიცხული ცვეთა. შეცდომის გამოსასწორებლად მოხდა მათი რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებების მუხლის "სხვა" კატეგორიაში და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული იქნა 2011 წლის ცვეთის ხარჯი 64 ლარის ოდენობით (2010 წ.: ნული).
- ვ) 2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ანგარიშგების წლის ძირითადი საშუალებების რეალიზაციის ეფექტი 13 ლარის ოდენობით (2010 წ.: ნული) არ იყო აღიარებული წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ კორექტირების შედეგი ასახულია სხვა საოპერაციო ხარჯში და 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიწვია ძირითადი საშუალებების 13 ლარით შემცირება (2010 წ.: ნული).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითიეი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გადაანგარიშება და რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

- ზ) კომპანიამ აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი დასაკუთრებული ქონება, რომლებიც ბასს 40-ის მიხედვით სამართლიანი ღირებულებით უნდა აღირიცხებოდეს საინვესტიციო ქონებად, გასულ წლებში არასწორად იყო კლასიფიცირებული გასაყიდად ფლობილ აქტივებად და აღირიცხული ფასს 5-ის მიხედვით მაშინ, როცა ამგვარი კლასიფიკაციის კრიტერიუმები არ იყო დაკმაყოფილებული 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ მათ სამართლიან ღირებულებაში შესული ცვლილებები წარმოდგენილი იქნა სხვა საოპერაციო ხარჯებში ან სხვა შემოსავალში. ამ შეცდომების კორექტირების შედეგად 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება გაიზარდა 8,620 ლარით (2010 წ.: 9,211 ლარი), სხვა აქტივები შემცირდა 8,067 ლარით (2010 წ.: 7,895 ლარი)
- თ) 2011 წელს ზოგიერთი დასაკუთრებული ქონება შეცდომის გამო არ აისახა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში. ამ შეცდომის კორექტირების შედეგად საინვესტიციო ქონება 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 557 ლარით გაიზარდა. გარდა ამისა, გასულ წლებში საინვესტიციო ქონების რეალიზაციასა და გადაფასებასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი, ასევე გასაყიდად ფლობილი აქტივების გაუფასურება და გაუფასურების შეზღუდვა აღიარებული იყო სხვა საოპერაციო ხარჯებში და სხვა შემოსავალში, და არა ცალკე მუხლებად - წმინდა მოგება/(ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან და წმინდა მოგება/(ზარალი) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან. ამ კორექტირებებისა და რეკლასიფიკაციების (და ასევე "ზ" პუნქტში აღწერილი ცვლილებების) საერთო შედეგი იყო 2011 წლის საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან წმინდა მოგების/(ზარალის) მუხლში წარმოდგენილი ზარალის ზრდა 748 ლარით, საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან წმინდა ზარალის მუხლში წარმოდგენილი ზარალის ზრდა 70 ლარით, სხვა საოპერაციო ხარჯების შემცირება 822 ლარით და სხვა შემოსავლის შემცირება 267 ლარით. ამავდროულად, სხვა გაუფასურებისა და რეზერვების მუხლში წარმოდგენილი შეზღუდული გაუფასურება 108 ლარით შემცირდა.
- ი) ზოგიერთი დასაკუთრებული ავტომანქანა 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არასწორად აისახა გასაყიდად ფლობილ აქტივად და აღირიცხა ფასს 5-ის შესაბამისად იმის მიუხედავად, რომ იგი არ აკმაყოფილებდა ამგვარი კლასიფიკაციის კრიტერიუმებს. ამ შეცდომის გამოსასწორებლად სხვა აქტივებში წარმოდგენილი საბალანსო ღირებულება გაიზარდა 166 ლარით, რაც წარმოადგენს ფასს 5-ის შესაბამისად გამოქვითულ სავარაუდო გაყიდვის დანახარჯებს (2011 წ.: ნული).
- კ) ბითიეი ბანკში (ყაზახეთი) 2,178 ლარის ვადანი ანაზარი (2010 წ.: 3,103 ლარი), რომელიც წინა პერიოდებში წარმოდგენილი იყო სხვა ნასესხები სახსრების სახით, რეკლასიფიცირებული იქნა საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ მოთხოვნებად.
- ლ) კომპანიამ აღმოაჩინა, რომ სხვა ნასესხები სახსრების ნაწილი შეცდომის გამო არ იყო წარმოდგენილი ამორტიზებადი ღირებულებით. ამ შეცდომის გამოსასწორებლად სხვა ნასესხები სახსრები 1,414 ლარით შემცირდა (2010 წ.: ნული). მოგება-ზარალის ანგარიშებაზე გავლენა გულისხმობს საპროცენტო ხარჯისა და საკურსო სხვაობებიდან წმინდა მოგების/(ზარალის) შემცირებას 1,125 ლარისა და 289 ლარის ოდენობით, შესაბამისად.
- მ) კომპანიამ აღმოაჩინა, რომ 2011 წელს გარკვეული ძირითადი საშუალებების გადაფასების ეფექტი არასწორად იყო აღიარებული სხვა შემოსავალში მოგებისა და ზარალის ნაწილში, ნაცვლად იმისა, რო ასახულიყო სხვა სრულ შემოსავალში. ამასთან, შესაბამისი გადავადებული გადასახადის ეფექტი არ იყო აღიარებული 2011 წლის ფინანსურ ანგარიშებაში. ამ შეცდომის გამოსასწორებლად, ქონების გადაფასებით მიღებული 529 ლარის შემოსულობა (2010 წ.: ნული), რომელსაც აკლდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო ვალდებულება 79 ლარის ოდენობით (2010 წ.: ნული) აღიარებული იქნა სხვა სრულ შემოსავალში შესაბამისი გადავადებული საგადასახადო ვალდებულებით. გადაანგარიშების შედეგად სხვა შემოსავალი 529 ლარით შემცირდა.
- ნ) ყველა კორექტირების შედეგად კომპანიამ დამატებით აღიარა მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები 23 ლარის მთლიანი ოდენობით (2010 წ.: 222). კორექტირების შედეგად მოგების გადასახადის ხარჯი 198 ლარით შემცირდა.
- ო) გარანტიების რეზერვი 100 ლარის ოდენობით (2010 წ.: 218 ლარი), რომელიც წინა პერიოდებში სხვა ვალდებულებებში იყო შესული, ახლა ცალკეა წარმოდგენილი.
- პ) წინა პერიოდებში კომპანიამ არ აღიარა გამოუყენებელი შევბულებების დანარიცხი 213 ლარის ოდენობით (2010 წ.: ნული) და ხელმძღვანელი პირებისა და სხვა თანამშრომლების პრემიებთან დაკავშირებული ვალდებულებები 114 ლარის ოდენობით (2010 წ.: ნული). ეს შეცდომა გამოსწორდა შესაბამისი ვალდებულებების თანხისა და ასევე თანამშრომლებზე გაწეული ხარჯის გაზრდით 327 ლარის ოდენობით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითიეი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გადაანგარიშება და რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

- ქ) კომპანიამ აღმოაჩინა, რომ გარანტიებთან დაკავშირებული 119 ლარის ოდენობის თანხა (2010 წ.: ნული), რომელსაც დაფარვის ვადა მოუდიოდა 2011 წელს, შეცდომით იყო შეტანილი სხვა ვალდებულებებში 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამ შეცდომის გამოსასწორებლად კომპანიამ შეწყვიტა იმ ვალდებულების აღიარება, რომელიც ასახული იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და შესაბამისად დააკორექტირა სხვა გაუფასურება და რეზერვები.
- რ) კომპანიამ აღმოაჩინა, რომ 2011 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული სხვა ვალდებულებების გარკვეული ნაწილი შეცდომის გამო არ იყო აღიარებული 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ შეცდომის გამოსასწორებლად 2011 წლის 31 დეკემბრის სხვა ვალდებულებები გაიზარდა 116 ლარით (2010 წ.: ნული), სხვა ხარჯები გაიზარდა 103 ლარით, ხოლო თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი გაიზარდა 13 ლარით.
- ს) კომპანიამ აღმოაჩინა, რომ 2011 წელს კლიენტებზე გაცემულ სესხებზე დარიცხული ჯარიმები 130 ლარის ოდენობით არასწორად იყო კლასიფიცირებული საპროცენტო შემოსავლის მუხლში. ამ შეცდომის გამოსასწორებლად ეს თანხა რეკლასიფიცირებული იქნა სხვა შემოსავალში.
- ტ) ამ გადაანგარიშების შედეგად წლის მოგება 354 ლარით გაიზარდა. წლის სრული შემოსავლის 794 ლარით ზრდა მოიცავდა წლის მოგების ზრდას 354 ლარით და წლის სხვა სრული (ზარალის)/მოგების ზრდას 450 ლარით, 450 ლარის გადასახადის გათვალისწინებით.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

2012 წლის 31 დეკემბრის თარიღით დასრულებული პერიოდისთვის „ბანკმა“ განიცადა მთლიანი ზარალი 5,821 ლარის ოდენობით და ამავე თარიღისთვის დაგროვილი ზარალი 2,170 ლარის ოდენობით.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ბანკის“ ფინანსირება ბითიეი ბანკისგან (ყაზახეთი) მოიცავდა 49,802 ლარს, კლასიფიცირებულს, როგორც სხვა ნასესხები სახსრები დაფარვის ვადით 2014 წლის თებერვლიდან 2014 წლის ოქტომბრამდე (შენიშვნა 17). 2,507 ლარი კლასიფიცირებული იყო როგორც სუბორდინირებული სესხი დაფარვის ვადით 2013 წლის მარტში (შენიშვნა 18), ხოლო 1,415 ლარი კლასიფიცირებული იყო, როგორც ვალდებულებები ფინანსური ინსტიტუტების წინაშე დაფარვის ვადით 2014 წლის ნოემბერში (შენიშვნა 15), ასევე, „ბანკს“ აქვს ლიკვიდურობის დეფიციტი 7,322 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში (შენიშვნა 28). ამის მიუხედავად, ხელმძღვანელობა დადებითად აფასებს „ბანკის“ შესაძლებლობებს, გადაიხადოს ყველა ვალდებულება დაფარვის ვადის დადგომისას შემდეგი მიზეზების გამო:

- ▶ „ბანკის“ მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი დამოკიდებულია მის მიერ დროის იმავე მონაკვეთში ეკვივალენტური ოდენობის აქტივების რეალიზაციაზე. არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულების გეპი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე 26-ე და 28-ე შენიშვნებში მოცემულ ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზში შესულია ერთ წლამდე ვადაში დასაფარ თანხებში (28-ე შენიშვნა).
- ▶ „ბანკის“ ხელმძღვანელობა ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებს ბითიეი ბანკის (ყაზახეთი) მიმართ მთლიანი სასესხო დავალიანების რესტრუქტურირებაზე. ბითიეი ბანკი (ყაზახეთი) დათანხმდა მთლიანი დავალიანების რესტრუქტურირებაზე, თუ ფინანსური ჯგუფი „სილქ როუდი“ (საქართველო) მას უზუნველყოფს თავისი აქციების 24%-იანი წილით, ხმის უფლებას ამ აქციებზე გადასცემს ბითიეი ბანკს (ყაზახეთი), დაფარავს სუბორდინირებულ სესხს, რომელიც 2013 წლის მარტში უნდა დაეფარა ბანკს და გაზრდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობას. აქციონერთა უმრავლესობას და ბანკს შეუძლიათ ბითიეი ბანკის (ყაზახეთი) მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილება, თუმცა ისინი ჯერ დეტალურად მოლაპარაკებას აპირებენ. „ბანკის“ ხელმძღვანელობის შეფასებით, მოლაპარაკებისა და დავალიანების რესტრუქტურირების დამტკიცების პროცესი 2013 წლის 30 სექტემბრისთვის დასრულდება.
- ▶ „ბანკის“ ხელმძღვანელობის აზრით, დავალიანების რესტრუქტურირების შემდეგ სესხზე დანახარჯების შემცირება მას საშუალებას მისცემს, მეტი მსესხებელი მოიზიდოს და ამით გაზარდოს თავისი სასესხო პორტფელი.

ყოველივე ამის შედეგად შემცირდება უარყოფითი ლიკვიდურობის გეპი.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ზითივი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

3. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ „ბანკი“ 2013 წლის აგვისტოში დაარღვევს საქართველოს ეროვნული ბანკის ლიკვიდურობის გონივრულ კოეფიციენტს, რადგან 2014 წლის თებერვალში დასაფარი სხვა ნასესხები თანხები (მე-17 შენიშვნა) გახდება მიმდინარე ვალდებულება ლიკვიდურობის გონივრული კოეფიციენტის გამოთვლის მიზნებისთვის. ამის გამო არსებობს სეზ-ის მხრიდან „ბანკის“ მიმართ სანქციების დაწესების საფრთხე. ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს, სეზ-ისგან ნებართვის წერილის მოპოვებას, რადგანაც შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ დააკმაყოფილებს ლიკვიდურობის გონივრული კოეფიციენტის მოთხოვნას 2013 წლის სექტემბერში დავალიანების რესტრუქტურის შექმნის შემდეგ და ამიტომ სეზ-ი „ბანკს“ არ დაუწესებს სანქციებს.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, „ბანკის“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით. ამის მიუხედავად, ზემოთ მოცემული გარემოებები მიანიშნებს მნიშვნელოვანი გაურკვევლობის არსებობაზე, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა „ბანკი“ ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

წლის განმავლობაში „ბანკმა“ მიიღო ქვემოაღნიშნული შეცვლილი „ფასს“:

ცვლილებები ფასს (IFRS) 7-ში "ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები"

ცვლილებები 2010 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა და ძალაშია 2011 წლის 1 ივლისის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. ცვლილებები მოითხოვს გადაცემული ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციაზე დამატებით განმარტებით შენიშვნებს იმისათვის, რომ „ბანკის“ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეეძლოს შესაბამის აქტივებთან დაკავშირებული რისკების შეფასება. ცვლილებები გავლენას ახდენს მხოლოდ განმარტებით შენიშვნებზე და არა „ბანკის“ ფინანსურ მდგომარეობასა თუ შედეგებზე.

სხვა ცვლილებებს, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების გაუმჯობესებამ განაპირობა, გავლენა არ მოუხდენია „ბანკის“ სააღრიცხვო პოლიტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობასა თუ შედეგებზე:

- ▶ ბასს (IAS) 12 "მოგებიდან გადასახადები" (ცვლილება) – გადავადებული გადასახადი: შესაბამისი აქტივების ამოღება
- ▶ ფასს (IFRS) 1 "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება" (ცვლილება) – მაღალი ჰიპერინფლაცია და ფიქსირებული თარიღების გაუქმება მათთვის, ვინც პირველად იყენებს სტანდარტებს

სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

გამოქვეყნებულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც "ბანკმა" ვადაზე ადრე არ დანერგა და რომლებიც სავალდებულოა "ბანკისთვის" 2013 წლის 1 იანვრით ან შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფასს (IFRS) 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"

ფასს 9 გამოცემული სახით ასახავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გაწეულ მუშაობას ბასს 39-ის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით და შეეხება ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებას ბასს 39-ის მიხედვით. სტანდარტები თავდაპირველად 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე ვრცელდებოდა, მაგრამ 2011 წლის დეკემბერში ფასს 9-ში შესული ცვლილებებით "ფასს 9-ს ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღი და გარდამავალი განმარტებითი შენიშვნები", ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღმა 2015 წლის 1 იანვრამდე გადაიწია. შემდეგ ეტაპებზე ბასსს მიმართავს ჰეჯირების აღრიცხვას და ფინანსური აქტივების გაუფასურებას. "ბანკი" გაზომავს ფასს 9-ის პირველი ეტაპის მიღების შედეგებს სხვა ეტაპებთან ერთად. მათი გამოშვებისთანავე, სრულყოფილი სურათის წარმოდგენის მიზნით.

(ათასი ლარი)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრელება)

სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“

ფასს 10-ის მიხედვით კონტროლის სისტემის ერთი მოდელი ვრცელდება ყველა ეკონომიკურ სუბიექტზე, მათ შორის სპეციალური დანიშნულების ეკონომიკურ სუბიექტებზეც. ბასს 27-სგან განსხვავებით, ფასს 10-ში შესული ცვლილებები ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გადაწყვეტილებების მიღებას იმის თაობაზე, თუ რომელი სუბიექტებია კონტროლს დაქვემდებარებული და, შესაბამისად, რომელი სუბიექტების კონსოლიდაციაა საჭირო მშობელ კომპანიასთან. ამასთან, ფასს 10 წარმოადგენს სახელმძღვანელოს პრინციპალსა და აგენტს შორის ურთიერთობისთვის. ფასს 10 ნაწილობრივ ჩაანაცვლებს ბასს 27-ს (IAS) „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ იმ საკითხებში, რომლებიც ეხება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენას და ასევე მოიცავს იმე-12-ში (SIC) „კონსოლიდაცია - სპეციალური დანიშნულების ეკონომიკური სუბიექტები“ მოცემულ საკითხებს. იგი ძალაშია 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც, ამ ეტაპზე ჯგუფი აფასებს ფასს 10-ის მიღების შესაძლო შედეგებს თავის ფინანსურ მდგომარეობას და შედეგებზე.

ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი გარიგებები“

ფასს 11 ასევე აუქმებს პროპორციული კონსოლიდაციის მეთოდს ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულების აღრიცხვისთვის. ამის სანაცვლოდ ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულები, რომლებიც ერთობლივი საწარმოს განმარტებას შეესაბამება, კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით უნდა აღრიცხოს. ფასს 11 ცვლის ბასს (IAS) 31-ს - „ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა“ და იმე (SIC) 13-ს „ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულები - კონტროლის უფლების მქონე ინვესტორების არაფულადი შენატანები“ და ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც, „ჯგუფის“ ვარაუდით ფასს 11-ის მიღება არ მოახდენს გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

ფასს (IFRS) 12 „სხვა საწარმოში მონაწილეობის განმარტებითი შენიშვნები“

ფასს 12 ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ფასს 12 მოიცავს ყველა განმარტებით შენიშვნას, რომლებიც მანამდე ბასს 27-ში შედიოდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით და ასევე ყველა განმარტებით შენიშვნას, რომლებიც მანამდე ბასს 31-სა და ბასს 28-ში შედიოდა. ეს განმარტებითი შენიშვნები უკავშირდება საწარმოს მონაწილეობას შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებში, მკავშირე საწარმოებსა და სტრუქტურულ ერთეულებში. ასევე სავალდებულო გახდა მთელი რიგი ახალი განმარტებითი შენიშვნებიც. კერძოდ, ჯგუფს მოუხდება მეტი ინფორმაციის წარმოდგენა კონსოლიდირებული და არაკონსოლიდირებული სტრუქტურული ერთეულების შესახებ, რომლებთანაც ის ჩართულია გარკვეულ საქმიანობაში ან რომელთაც ასპონსორებს. ამასთან, სტანდარტი გავლენას არ მოახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

ფასს (IFRS) 13 „სამართლიანი ღირებულებით შეფასება“

ფასს 13 სამართლიანი ღირებულებით ყველა იმ შეფასებისთვის, რომლებიც ფასს-ის შესაბამისად ტარდება, ერთიან მეთოდს განსაზღვრავს. ფასს 13 არ ცვლის სამართლიანი ღირებულებით შეფასების აუცილებლობის დადგომის წესს, იგი მხოლოდ ფასს-ის შესაბამისად სამართლიანი ღირებულებით შეფასების მეთოდიკას განსაზღვრავს, როდესაც სამართლიანი ღირებულება აუცილებელი ან ნებადართულია. ფასს 13 ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც, ფასს 13-ის მიღებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს „ჯგუფის“ სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე. ამ ეტაპზე ჯგუფი აფასებს ფასს 13-ის მიღების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ მდგომარეობას და შედეგებზე.

ბასს (IAS) 27 „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ (2011 წლის რედაქციით)

ახალი ფასს 10-ისა და ფასს 12-ის მიღების შედეგად, ბასს 27-ს რჩება მხოლოდ შვილობილი, ერთობლივად კონტროლირებადი და მკავშირე კომპანიების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ეს ცვლილება ძალაშია 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ამჟამად, „ჯგუფი“ აფასებს ბასს 27-ის მიღების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ბასს (IAS) 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ (2011 წლის რედაქციით) ახალი ფასს 11-ისა და ფასს 12-ის მიღების შედეგად ბასს 28-ს დაერქვა ბასს 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ და აღწერს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებას მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების დროს. ეს ცვლილება ძალაშია 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ამჟამად, „ჯგუფი“ აფასებს ბასს 28-ის მიღების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“
ბასსს-მა გამოაქვეყნა ბასს 19-ში „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“ შესული მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების აღრიცხვაში შესული ძირეული ცვლილებები მოიცავს საპენსიო აქტივებისა და ვალდებულებებში შესული ცვლილებების გადავადებული აღიარების შესაძლებლობის (ე. წ. „დერეფნის პრინციპი“) გაუქმებას. ამასთანავე ამ ცვლილებებით იზღუდება ცვლილებები წმინდა საპენსიო აქტივში (ვალდებულებაში), რომელიც მოგებაში ან ზარალში ასახულია წმინდა საპროცენტო შემოსავლის (ხარჯის) და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში. „ჯგუფის“ ვარაუდით ეს ცვლილებები გავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ცვლილებები ბასს 1-ში „ცვლილებები სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენაში“
ბასს 1-ში შესული ცვლილებები სხვაგვარად აჯგუფებს სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილ მუხლებს. მუხლები, რომელთა მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიკაციაც (გადაჯგუფება) შესაძლებელია მომავალში (მაგალითად, გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებზე წმინდა ზარალი ან შემოსულობა), წარმოდგენილი იქნება განცალკევებით იმ მუხლებისგან, რომელთა რეკლასიფიკაციაც არასდროს მოხდება (მაგალითად, შენობების გადაფასება). ეს ცვლილებები გავლენას ახდენს მხოლოდ ანგარიშგების წარმოდგენაზე და არ აისახება ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე. ცვლილება ძალაშია 2012 წლის 1 ივლისს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ფასს (IFRS) 7 „ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა“
ამ ცვლილებების მიხედვით ეკონომიკურ სუბიექტს ევალება ინფორმაციის წარმოდგენა ურთიერთგაქვითვისა და მსგავსი სექციების უფლებების შესახებ (მაგ. უზრუნველყოფის ხელშეკრულებები). მსგავსი ინფორმაცია ანგარიშგების მომხმარებლებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ჩათვლის ამ სექციების გავლენის შეფასებაში დაეხმარება. ამ ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულოა ყველა აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, რომელთა ურთიერთგაქვითვაც ხორციელდება ბასს (IAS) 32-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“ შესაბამისად. მოთხოვნა ვრცელდება იმ აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზეც, რომლებიც ძირითად საკლირინგო შეთანხმებას ან მსგავს ხელშეკრულებებს ექვემდებარება, განურჩევლად იმისა, გაქვითულია თუ არა ისინი ბასს 32-ის შესაბამისად. ეს ცვლილებები არ მოახდენს გავლენას „ბანკის“ ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე და ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვრით დაწყებული ან შემდგომი წლიური პერიოდებისთვის.

ცვლილებები ბასს (IAS) 32-ში „ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა“
ეს ცვლილებები განმარტავს იმას, თუ რას ნიშნავს „ამჟამად აქვს გაქვითვის იურიდიული უფლება“. „ჯგუფზე“ მისი გავლენის შესაფასებლად საჭირო იქნება ანგარიშსწორების პროცედურებისა და იურიდიული დოკუმენტაციის გადახედვა იმის დასაზუსტებლად, რომ ურთიერთგაქვითვა ჯერაც შესაძლებელია იმ შემთხვევებისთვის, რომელთა მიმართაც ის წარსულშიც განხორციელებულა. გარკვეულ შემთხვევებში ურთიერთგაქვითვა შეიძლება შეუძლებელიც იყოს. სხვა შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს ხელშეკრულებების პირობების გადახედვა. პირობა, რომ გაქვითვის უფლება აქვს ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულების ყველა მხარეს, შეიძლება რთული შესასრულებელი გახდეს ისეთი ხელშეკრულებებისთვის, რომელთა მიხედვითაც მხოლოდ ერთ მხარეს აქვს გაქვითვის უფლება დეფოლტის შემთხვევაში.

(ათასი ლარი)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ცვლილებები ასევე განმარტავს ბასს 32-ის ურთიერთგაქვითვის კრიტერიუმების გამოყენების წესს ანგარიშსწორების ისეთ სისტემებში (მაგ. ცენტრალური საკლირინგო დაწესებულების მქონე სისტემები), რომელიც მიმართავს ანგარიშსწორების არათანადროულ მექანიზმებს. მაშინ, როდესაც ზევრი ანგარიშსწორების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ახალ კრიტერიუმებს, გარკვეული სისტემები არ მოდის ასეთ შესაბამისობაში. რამდენადაც ცვლილების მიღების გავლენა დამოკიდებულია "ჯგუფის" მიერ საოპერაციო პროცედურების შესწავლაზე, რომელთაც იყენებს ცენტრალური საკლირინგო დაწესებულების მქონე და ანგარიშსწორების სისტემები, იმის განსაზღვრად, თუ რამდენად შეესაბამებიან ახალ კრიტერიუმებს, ასეთი ეფექტების დაანგარიშება არ არის პრაქტიკული.

ეს ცვლილებები ძალაშია 2014 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

დამატება ფასს (IFRS) 1-ში – "სახელმწიფო სესხები"

ამ ცვლილებების მიხედვით, საწარმოებმა, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს-ს, პერსპექტულად უნდა შეასრულონ ბასს (IAS) 20-ის "სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები" მოთხოვნები იმ სახელმწიფო სესხებზე, რომლებიც ფასს-ზე გადასვლის თარიღით არსებობს. ეს ცვლილება ჯგუფზე გავლენას არ ახდენს.

ფასს-ის გაუმჯობესებები

ცვლილებები ძალაშია 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ისინი გავლენას არ მოახდენს ჯგუფზე.

- ▶ ფასს (IFRS) 1 "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება": ეს გაუმჯობესება განმარტავს, რომ საწარმოს, რომელმაც შეწყვიტა ფასს-ის გამოყენება წარსულში და ისევ გადაწყვიტა, ან მოეთხოვება ფასს-ის გამოყენება, შეუძლია ხელახლა გამოიყენოს ფასს 1. თუ არ ხდება ფასს 1-ის ხელახლა გამოყენება, საწარმომ რეტროსპექტულად ხელახლა უნდა გადაიანგარიშოს თავისი ფინანსური ანგარიშები ისე, თითქოს არასდროს შეუწყვეტია ფასს-ის გამოყენება.
- ▶ ბასს (IAS) 1 "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა": ეს გაუმჯობესება განმარტავს განსხვავებას ნებაყოფლობით დამატებით შესადარის ინფორმაციასა და მინიმალურ სავალდებულო შესადარის ინფორმაციას შორის. როგორც წესი, მინიმალური სავალდებულო შესადარის ინფორმაცია ეხება წინა პერიოდს.
- ▶ ბასს (IAS) 16 "ძირითადი საშუალებები": ეს გაუმჯობესება განმარტავს, რომ ისეთი მსხვილი სათადარიგო ნაწილები და დამხმარე აღჭურვილობა, რომლებიც ძირითადი საშუალებების განმარტებას შეესაბამება, არ წარმოადგენს სასაქონლო მატერიალურ მარაგებს.
- ▶ ბასს (IAS) 32 "ფინანსური ინსტრუმენტები, წარდგენა": ეს გაუმჯობესება განმარტავს, რომ მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა აქციების მფლობელებისთვის მოგების განაწილების შედეგად, აღირიცხება ბასს (IAS) 12-ის "მოგებიდან გადასახადები" მიხედვით.
- ▶ ბასს (IAS) 34 "შუალედური ფინანსური ანგარიშგება": ეს ცვლილება მთლიანი სეგმენტის აქტივებისა და მთლიანი სეგმენტის ვალდებულებების შესახებ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს ერთმანეთს შეუსაბამებს შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს განმარტება ასევე უზრუნველყოფს შუალედური განმარტებითი შენიშვნების შესაბამისობას წლიურ განმარტებით შენიშვნებთან.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ და მოგვიანებით შეიმღებება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

(ათასი ლარი)

4. საადრინჯვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც „ბანკმა“ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგების და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

დაფარვის ვადად ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვის გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდებიან, როგორც დაფარვის ვადად ფლობილი ფასიანი ქაღალდები, თუ „ბანკს“ აქვს დაფარვის ვადად მათი ფლობის სურვილი და შესაძლებლობა. ეს განსაზღვრება არ მოიცავს განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. ინვესტიციები დაფარვის ვადად ფლობილ ფასიან ქაღალდებში აისახება ამორტიზებული ღირებულებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ინვესტიციის გაუფასურებისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებსაც ჯგუფი გასაყიდად ფლობს ან არ არის გათვალისწინებული რომელიმე სხვა კატეგორიაში. გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც გამიზნულია გასაყიდად ან არ არის გათვალისწინებული რომელიმე შემოსესწინებულ კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების დრომდე, როდესაც კუმულაციური მოგება-ზარალი, რომელიც მანამდე სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყო ასახული, რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოანგარიშებული საპროცენტო შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ „ბანკს“ აქვს სურვილი და შესაძლებლობა, ფლობდეს გასაყიდად არსებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს მათი დაფარვის ვადად, ისინი შეიძლება იყოს რეკლასიფიცირებული, როგორც დაფარვის ვადად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ამ შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღის მდგომარეობით გახდება ამ ქაღალდების ახალი ამორტიზებული ღირებულება. დაფარვის ფიქსირებული ვადის მქონე ინსტრუმენტების გადაფასების რეზერვები, რეკლასიფიკაციის თარიღისათვის, ამორტიზებული უნდა იქნას მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამ ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადად.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასით ბალანსის შედგენის თარიღისათვის ან დილერის მიერ შეთავაზებული ფასით (შეთავაზებული ფასი გრძელ პოზიციაზე და მოთხოვნილი ფასი მოკლე პოზიციაზე), ტრანზაქციის ხარჯის გამოკლების გარეშე.

ყველა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელთა საბაზრო პირობებთან შედარებაც ვერ ხერხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. მათ შორისაა წმინდა მიმდინარე ღირებულების დადგენის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ბაზარზე არსებული მსგავსი ინსტრუმენტების ფასებთან შედარება, ოფციონის ფასდადების მოდელირება და შეფასების სხვა მეთოდები.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ეს არ ეხება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებს და დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები მთლიანად წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

თუ გასაყიდად ფლობილად კლასიფიცირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივი აღარ არის უახლოეს მომავალში გასაყიდად გამოზნული, შესაზღებელია მისი რეკლასიფიკაცია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის კატეგორიის გავლით, შემდეგ შემთხვევებში:

- ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებულ იქნას სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაზე, თუ "ბანკს" აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის გასვლამდე;
- იშვიათ შემთხვევებში, სხვა ფინანსური აქტივები შესაძლოა რეკლასიფიცირებულ იქნას გასაყიდად არსებულ ან დაფარვის ვადამდე შენარჩუნებულ კატეგორიებზე.

გასაყიდად არსებულად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებულ იქნას სესხებსა და მისაღებ ანგარიშებზე, თუ „ბანკს“ აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის დადგომამდე;

ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით რეკლასიფიკაციის თარიღისათვის. არ ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ნებისმიერი მოგების ან ზარალის შებრუნება. ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის წარმოადგენს მის ახალ ღირებულებას ან ამორტიზებად ღირებულებას, შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

(ათასი ლარი)

4. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად "ბანკს" წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ, ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებების და მეანაბრეების წინაშე, აქციონერებისაგან მიღებულ სესხებს და სუბორდინირებულ სესხს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

იჯარა

საოპერაციო იჯარა – "ბანკი", როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი იჯარის პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

საოპერაციო იჯარა – "ბანკი", როგორც მეიჯარე

"ბანკი" საოპერაციო იჯარის აქტივებს წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების ხასიათის მიხედვით. საოპერაციო იჯარიდან საიჯარო შემოსავლის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში, როგორც სხვა შემოსავლისა. მოიჯარისათვის წამახალისებელ ფაქტორებზე ჯამური დანახარჯის აღიარება ხდება, როგორც საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლების მიღების თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

"ბანკი" თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი "ზარალის ფაქტი") და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

(ათასი ლარი)

4. საადრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები

საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას "ზანკი" თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად არამნიშვნელოვანად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურებაც ინდივიდუალურად ფასდება და რომლებზეც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ მონაწილეობს გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად რეალიზებულია ან "ზანკისთვის" არის გადაცემული. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ სამომავლო ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი დაკრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშში.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთს გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია "ზანკის" შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება ამჟამინდელ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გათვალისწინებულ იქნას ამჟამინდელი პირობები, რომლებიც არ მოქმედებდა ისტორიული ზარალის წლებში, და არ იქნას გათვალისწინებული ისტორიული ზარალის პერიოდის ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და უკავშირდება წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისათვის მომხდარ ცვლილებებს (როგორცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში ზარალის განმსაზღვრელია). სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადახედვა ხდება რეგულარულად განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითიეი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისათვის "ბანკი" ინდივიდუალურად აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი, თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება და ზარალის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ მომდევნო წელს სავარაუდო გაუფასურების მოცულობა მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე დარიცხული ნებისმიერი თანხა კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციების შემთხვევაში, "ბანკი" ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ინვესტიციის თუ ინვესტიციათა ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

გასაყიდად არსებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ობიექტური საფუძველი ნიშნავს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან გრძელვადიან შემცირებას მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ოდენობამდე. თუ არსებობს გაუფასურების საფუძველი, აკუმულირებული ზარალი, (რომელიც შეფასებულია როგორც სხვაობა შესყიდვის ღირებულებასა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, რასაც აკლდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ინვესტიციის გაუფასურების ზარალი) ამოღებულია სხვა სრული შემოსავლის მუხლიდან და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კაპიტალის ინვესტიციების გაუფასურების ზარალის აღდგენა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით არ ხდება; გაუფასურების შემდგომ მათი სამართლიანი ღირებულების ზრდა მთლიანად სხვა სრულ შემოსავალში აისახება.

გასაყიდად არსებული სავალო ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასება ხდება იმავე კრიტერიუმებით, როგორც - ამორტიზებული ღირებულების მქონე ფინანსური აქტივების შეფასება. საპროცენტო შემოსავალი კვლავაც ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით,

რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შესაფასებლად. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუ მომდევნო წელს სასესხო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზარდება და ზრდა ობიექტურად შეიძლება დაუკავშირდეს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარების შემდგომ მოვლენას, გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგების მეშვეობით.

რესტრუქტურული სესხები

თუ შესაძლებელია, უზრუნველყოფის საკუთრებაში მიღების ნაცვლად, "ბანკი" ახდენს სესხების რესტრუქტურულზაციას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

რესტრუქტურულზაციის ბუღალტრული აღრიცხვა შემდეგნაირად ხორციელდება:

- ▶ თუ სესხის ვალუტა იცვლება, მაშინ ხდება ძველი სესხის აღიარების შეწყვეტა და ახალი სესხის აღიარება.
- ▶ თუ სესხის რესტრუქტურულზაცია არ უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიძნელებებს, "ბანკი" იმავე მიდგომას მიმართავს, როგორც - ქვემოთ აღწერილი ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში.
- ▶ თუ სესხის რესტრუქტურულზაცია უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიძნელებებს და სესხი გაუფასურებულია რესტრუქტურულზაციის შემდეგ, "ბანკი" აღიარებს სხვაობას ახალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებასა (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) და საბალანსო ღირებულებას შორის რესტრუქტურულზამდე, როგორც მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯს. იმ შემთხვევაში, თუ სესხი არ არის გაუფასურებული რესტრუქტურულზაციის შემდეგ, "ბანკი" ადგენს ახალ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

(ათასი ლარი)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

რესტრუქტურული ზეგნული სესხები (გაგრძელება)

მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის პირობებზე ხელახალი შეთანხმება, სესხი აღარ მიიჩნევა გადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს რესტრუქტურირებული სესხების მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. გაუფასურებასთან მიმართებაში სესხები კვლავაც ფასდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად და შეფასებისთვის გამოიყენება სესხის თავდაპირველი ან მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ "ბანკმა" დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დავიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ "ბანკმა" (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ "ბანკმა" გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, „ბანკის“ მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. უწყვეტი გამოყენება, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის უმცირესი საბალანსო ღირებულებით და იმ მაქსიმალური თანხის გათვალისწინებით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს "ბანკს". როდესაც უწყვეტი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შეძენილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), „ბანკის“ ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა.

თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, „ბანკის“ ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის მიმდინარე საბაზრო ღირებულებას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ზანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საკრედიტო ვალდებულებები

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში "ზანკი" გასცემს კრედიტებთან დაკავშირებულ გარანტიებს, ძირითადად აკრედიტებებსა და ფინანსურ გარანტიებს. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს გადახდების განხორციელების შეუზღუდავ რწმუნებას იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ მოახერხებს თავისი ვალდებულების დაფარვას მესამე პირებისადმი. ასეთი გარანტიები არის ისეთივე საკრედიტო რისკის მატარებელი, როგორცაც - სესხები. ფინანსური გარანტიები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება ფინანსური ანგარიშგების "სხვა ვალდებულებების" მუხლში, როგორც მიღებული საკომისიოს თანხა. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, „ზანკის“ ვალდებულებები თითოეული გარანტიისთვის ფასდება ამორტიზებულ საკომისიოსა და გარანტიის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად გაწეული ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვლას შორის უმეტესით.

ყოველი მატება ვალდებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანსურ გარანტიებთან, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიღებული საკომისიო შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის ვადის განმავლობაში.

საგადასახადო სისტემა

მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რომელიც საგადასახადო ორგანოებს უნდა გადაეხადოს ან მათგან დაბრუნებული იქნას დასაბეგრ მოგებასა, თუ ზარალთან მიმართებაში მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის. თუ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება მოხდა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსების წინ, დასაბეგრი მოგება თუ ზარალი ემყარება მიახლოებულ შეფასებებს. გადასახადების აღრიცხვა ხდება აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში, გარდა მოგების გადასახადისა

გადავადებული მოგების გადასახადის დასაბეგვა ხორციელდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდებზე გადატანის შემთხვევაში და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ დროებით სხვაობებზე. თავდაპირველი აღიარების გამოწვევების შემთხვევებში, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ისეთი აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას არსებული დროებითი სხვაობებისთვის, რომლებიც მონაწილეობს არა საწარმოთა გაერთიანების, არამედ სხვა ტიპის გარიგებაში, თუ ეს გარიგება თავდაპირველი აღიარებისას არ ახდენს გავლენას არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრი მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ნაშთი ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც ამოქმედებულია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის და რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს იმ პერიოდში, როდესაც დროებითი სხვაობები შეზღუდულია ან მომდევნო პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი გამოიყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ ჯგუფის ცალკეულ კომპანიებში. დროებით გამოქვითვად სხვაობებზე გადავადებული საგადასახადო აქტივები და მომდევნო პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი აისახება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ალბათობა სამომავლო დასაბეგრი მოგებისა, რომლიდანაც შესაძლებელი იქნება გამოქვითვა.

გადავადებული მოგების გადასახადი ირიცხება შექმნის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაზე და შექმნის შემდეგ შვილობილი კომპანიების რეზერვების მომრავლებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი აკონტროლებს კომპანიის სადივიდენდო პოლიტიკას და სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში სხვაობა არ შეზღუდდება დივიდენდების მეშვეობით ან სხვაგვარად.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები (მიწისა და შენობების გარდა) აღრიცხულია თვითღირებულებით, რაშიც არ შედის ყოველდღიური მომსახურების ხარჯები, და მას აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ძირითადი საშუალებების (მიწისა და შენობების გარდა) საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. თვითღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდგომ, შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. შეფასება ტარდება იმდენად ხშირად, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით. გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მანამდე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასებისას მისი ოდენობის შემცირების აღდგენა. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობა-ნაგებობები	50
ავეჯი და მოწყობილობები	4-10
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	4
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	4-10

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

(ათასი ლარი)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში "ბანკი" არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება ან ზარალი აღირიცხება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ეს მოგება თუ ზარალი წარმოიშვა. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ყოველწლიური შეფასებით, რომელსაც ატარებს აკრედიტებული გარე დამოუკიდებელი შემფასებელი შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მეთოდით.

საინვესტიციო ქონების მუხლიდან გადატანა ან ამ მუხლში გადმოტანა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული ქონების ექსპლუატაციაში გარკვეული ცვლილება აღინიშნება. საინვესტიციო ქონებიდან მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების ანგარიშზე ქონების გადატანის შემთხვევაში შემდგომი აღრიცხვისთვის დასაშვები ღირებულება არის სამართლიანი ღირებულება სარგებლობაში მომხდარი ცვლილების თარიღისთვის. თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება იქცევა საინვესტიციო ქონებად, "ბანკი" ასეთ ქონებას აღრიცხავს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად სარგებლობაში ცვლილების მოხდენის თარიღამდე.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს ან როდესაც საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოოდ ხდება ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, აღიარების შეწყვეტის პერიოდში.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შექმნილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. „ბანკის“ არამატერიალურ აქტივებს სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადა აქვთ. არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება 2-დან 7 წლამდე ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში (პროგრამული უზრუნველყოფა: 6-7 წელი, ლიცენზიები: 2-7 წელი) და გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება გაუფასურების ნიშნების აღმოჩენისას.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც "ბანკს" წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად, ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

(ათასი ლარი)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც "ბანკის მიერ" ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სათანადო სიზუსტით შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და გასაყიდად გამიზნული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ "ბანკი" გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

"ბანკი" იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან კლიენტებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო დაირიცხება იმავე პერიოდში. აღნიშნული გასამრჯელო მოიცავს შემოსავალს საკომისიოდან, სააგენტო და სხვა გასამრჯელოს. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

(ათასი ლარი)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც „ბანკის“ სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში. „სებ“-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2012, 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად იყო 1.6567, 1.6703 და 1.7728 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია „ბანკის“ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

- ▶ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადადმდე ფლობილ ფასიან ქაღალდებზე კლასიფიცირება;
- ▶ მატერიალური და არამატერიალური ფინანსური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა;
- ▶ საგადასახადო დანარიცხვები;

შეფასების განუსაზღვრელობა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, „ბანკის“ ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეხედულებები და შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

სესხების გაუფასურების რეზერვი

“ბანკის” მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. “ბანკი” იყენებს საკუთარ შეფასებებს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის განსაზღვრის მიზნით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებელთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. “ბანკი” ასევე აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიაწოდებს მსესხებელთა ჯგუფის კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე, ან ისეთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცვლილებებზე, რომლებიც იწვევს აქტივების ჯგუფზე ვალდებულებების შეუსრულებლობას. საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობილ შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. მიმდინარე მოვლენების ასახვის მიზნით “ბანკი” ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს სესხებისა თუ მისაღები ანგარიშების არსებული მონაცემების კორექტირებისათვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება საგადასახადო ზარალთან მიმართებაში ხდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოდ იარსებებს სამომავლო დასაბეგრი მოგება, რომლიდანაც შესაძლებელი იქნება ზარალის გამოყენება. იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება უნდა მოხდეს, საჭიროა შეფასება მომავალი დასაბეგრი მოგებისა, ვადიანობისა და დონის მიხედვით, მომავალ საგადასახადო დაგეგმარების სტრატეგიებთან ერთად.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

შეფასების განუსაზღვრელობა (გაგრძელება)

უზრუნველყოფის ღირებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობა რეგულარულად ამოწმებს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა სამართლიან ღირებულებას არსებული საბაზრო პირობების მიხედვით აკორექტირებს, რისთვისაც იგი გამოცდილების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ან დამოუკიდებელი ექსპერტის აზრს ეყრდნობა. საჭირო უზრუნველყოფის ოდენობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2012	2011 (გადაანგარიშებული)	2010 (გადაანგარიშებული)
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	5,234	4,187	2,183
მიმდინარე ანგარიშები "სებ"-ში	37	141	807
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	3,034	2,163	9,853
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,305	6,491	12,843

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა საკრედიტო დაწესებულებების მიმდინარე ანგარიშები შედგება უპროცენტო საკორესპონდენტო ანგარიშების ნაშთებისგან რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებში 2,796 ლარის ოდენობით (2011 წ.: 231 ლარი; 2010 წ.: 7,014) და 238 ლარის ოდენობით (2011 წ.: 1,932; 2010 წ.: 2,839), შესაბამისად.

7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

	2012	2011 (გადაანგარიშებული)	2010 (გადაანგარიშებული)
სავალდებულო რეზერვი "სებ"-ში	6,203	2,937	2,836
90 დღეზე მეტი ვადის მქონე ანაბარი	3,567	2,837	5,349
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	9,770	5,774	8,185

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე და წარმოადგენს მოზიდული სახსრების 10%-ს ეროვნულ ვალუტაში და 5%-ს უცხოურ ვალუტაში (2011 წ.: 5% 2011 წლის იანვრამდე, 10% 2011 წლის თებერვლამდე, 15% 2011 წლის დეკემბრამდე; 2010 წ.: 5%) კანონმდებლობის შესაბამისად "ბანკს" შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება.

2012, 2011 და 2010 წლებში სარეზერვო ანგარიშზე აშშ დოლარით განთავსებულ მინიმალურ რეზერვზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია, როგორც ა.შ.შ. ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთს მინუს 0,5 პროცენტული პუნქტი; სარეზერვო ანგარიშზე ევროთი განთავსებულ მინიმალურ რეზერვზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია, როგორც ევროპის ცენტრალური ბანკის განაკვეთს მინუს 0,5 პროცენტული პუნქტი;

90 დღეზე მეტი ვადის მქონე ვადიანი ან გადაგადაცილებული დეპოზიტები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3 რეზიდენტ ბანკში იყო განთავსებული (2011 წ.: 2 რეზიდენტ ბანკში; 2010 წ.: 2 რეზიდენტ ბანკში).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითიეი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	2012	2011 <i>(გადაანგარიშებული)</i>	2010 <i>(გადაანგარიშებული)</i>
კორპორატიული სესხები	42,093	42,206	25,989
იპოთეკური სესხები	23,514	17,588	7,308
სესხები მცირე ბიზნესისთვის	6,773	6,613	6,554
სამომხმარებლო სესხები	4,172	3,805	3,580
საკრედიტო ბარათები	3,053	1,241	224
ავტოსესხები	1,193	896	1,826
სხვა	3,054	5,808	12,051
კლიენტებზე გაცემული ჯამური სესხი	83,852	78,157	57,532
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(8,443)	(6,593)	(9,311)
კლიენტებზე გაცემული სესხები	75,409	71,564	48,221

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შედარება ტიპების მიხედვით შემდეგია:

	სესხები								
„ბანკმა“ შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორისაა უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმებაც. გარიგებაში მონაწილე მხარის შეზღუდვები დგინდება საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემის გამოყენებით, რომელიც თითოეულ მონაწილე მხარეს ანიჭებს რისკის რეიტინგს. რისკის რეიტინგი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებებს. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი „ბანკს“ საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი

„ბანკი“ თავის კლიენტებს სთავაზობს გარანტიებს, რომელთა მიხედვითაც „ბანკს“ შესაძლოა მოუწიოს მათი სახელით გადახდა. ასეთი თანხების ამოღება კლიენტებისგან ხდება აკრედიტივის პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, „ბანკი“ დგას სესხის გაცემის ანალოგიური რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ყველაზე უკეთ ასახავს მათი საბალანსო ღირებულება, უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით ამ რისკების შემცირების ეფექტამდე.

თუ ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკის დონეს და არა მაქსიმალურ დონეს, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას ღირებულების შეცვლის შედეგად.

საკრედიტო რეიტინგი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი იმართება „ბანკის“ შიდა საკრედიტო სარეიტინგო სისტემით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითიეი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რეიტინგი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით (გაგრძელება)

ყველა გაცემული სესხი, რომელიც არც ვადაგადასულია და არც გაუფასურებული, გარდა ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისა, რეიტინგების მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა, რაც ქვემოთ ცხრილშია წარმოდგენილი:

- ▶ მაღალი შეფასების მქონე ჯგუფი მოიცავს მსესხებლებს, რომელთაც აქვთ ლიკვიდურობის მაღალი დონე და შემოსავლიანობა. სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ალბათობა ასეთ შემთხვევაში დაბალია.
- ▶ სტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფი მოიცავს მსესხებლებს საშუალო დონის ლიკვიდურობით და შემოსავლიანობით. სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ალბათობა საშუალო დონისაა.
- ▶ ქვესტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფში გაერთიანებული მსესხებლების ლიკვიდურობა და შემოსავლიანობა დამაკმაყოფილებელია. სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ალბათობა ამ შემთხვევაში საშუალოზე მაღალია.

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები, რომლებიც არც ვადაგადასულია და არც გაუფასურებული, რეიტინგების მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა, რაც ქვემოთ ცხრილშია წარმოდგენილი:

- ▶ მაღალი შეფასების მქონე ჯგუფი მოიცავს მსესხებლებს, რომელთაც აქვთ კარგი საკრედიტო ისტორია და მყარი ფინანსური მდგომარეობა, დეპოზიტებით და ოქროთი უზრუნველყოფილ სესხებს.
- ▶ სტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფი მოიცავს მსესხებლებს კარგი/საშუალო საკრედიტო ისტორიითა და საშუალო ფინანსური მდგომარეობით.
- ▶ ქვესტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფში გაერთიანებულია სესხები საშუალო საკრედიტო ისტორიითა და ფინანსური მდგომარეობით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მატარებელი აქტივების საკრედიტო ხარისხს:

	შენიშვნა	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული			ვადაგადა-		
		მაღალი შეფასება	სტანდარტული	სტანდარტული-ზე დაბალი	ცილებული,	ინდივიდუალურად გაუფასურებული, 2012	სულ 2012
			შეფასება	შეფასება	შეფასება		
მოთხოვნები							
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	9,770	-	-	-	-	9,770
კლიენტებზე გაცემული სესხები	8						
კორპორატიული სესხები		10,069	9,130	1,663	4,089	17,142	42,093
იპოთეკური სესხები		1,551	15,142	798	3,145	2,878	23,514
სესხები მცირე ბიზნესისთვის		2,296	3,060	167	808	442	6,773
სამომხმარებლო სესხები		1,022	2,436	113	601	-	4,172
საკრედიტო ბარათები		113	2,547	15	378	-	3,053
ავტოსესხები		18	911	74	190	-	1,193
სხვა		87	97	816	1,421	633	3,054
		<u>15,156</u>	<u>33,323</u>	<u>3,646</u>	<u>10,632</u>	<u>21,095</u>	<u>83,852</u>
სავალო ფასიანი ქაღალდები და ფარვის ვადამდე ფლობილი	9	2,873	-	-	-	-	2,873
სულ		<u>27,799</u>	<u>33,323</u>	<u>3,646</u>	<u>10,632</u>	<u>21,095</u>	<u>96,495</u>

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითიუნი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

	არც გადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	არც გადაგადაცილებული და არც გაუფასურებული		გადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	ინდივიდუალურად გაუფასურებული, 2011	სულ 2011
		მაღალი შეფასება	სტანდარტული შეფასება			
მოთხოვნები						
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	5,774	-	-	-	5,774
კლიენტებზე გაცემული სესხები	8					
კორპორატიული სესხები		9,302	10,217	5,560	698	16,429
იპოთეკური სესხები		53	15,144	111	2,280	-
სესხები მცირე ბიზნესისთვის		302	4,218	103	1,990	-
სამომხმარებლო სესხები		546	2,423	61	775	-
საკრედიტო ბარათები		77	1,034	-	130	-
ავტოსესხები		22	481	52	341	-
სხვა		72	1,424	681	3,631	-
		10,374	34,941	6,568	9,845	16,429
სავალო ფასიანი ქაღალდები	9					
დაფარვის ვადამდე ფლობილი		3,533	-	-	-	-
სულ		19,681	34,941	6,568	9,845	16,429

გადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ხანდაზმულობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგია:

	30 დღეზე ნაკლები 2012	31-დან 60 დღემდე 2012	61-დან 90 დღემდე 2012	90 დღეზე მეტი 2012	სულ 2012
კლიენტებზე გაცემული სესხები					
კორპორატიული სესხები	3,566	331	-	192	4,089
იპოთეკური სესხები	589	765	352	1,439	3,145
სესხები მცირე ბიზნესისთვის	411	164	-	233	808
სამომხმარებლო სესხები	170	58	36	337	601
საკრედიტო ბარათები	148	42	28	160	378
ავტოსესხები	71	38	16	65	190
სხვა	300	97	42	982	1,421
სულ	5,255	1,495	474	3,408	10,632

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ზანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

	<i>1 წელზე 30 დღეზე 2011</i>	<i>31-დან 60 დღემდე 2011</i>	<i>61-დან 90 დღემდე 2011</i>	<i>მეტი 90 დღეზე 2011</i>	<i>სულ 2011</i>
კლიენტებზე გაცემული სესხები					
კორპორატიული სესხები	442	-	-	256	698
იპოთეკური სესხები	785	125	254	1,116	2,280
სესხები მცირე ბიზნესისთვის	333	294	459	904	1,990
სამომხმარებლო სესხები	144	36	43	552	775
საკრედიტო ზარათები	48	14	19	49	130
ავტოსესხები	79	26	38	198	341
სხვა	1,142	149	41	2,299	3,631
სულ	2,973	644	854	5,374	9,845

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის სესხი მიიჩნევა ვადაგადაცილებულად, თუ ანგარიშგების დღისთვის მსესხებელს არ განუხორციელებია საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არცერთი გადახდა. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად მსესხებლისგან მისაღები მთლიანი თანხა, დარიცხული პროცენტისა და საკომისიოს ჩათვლით, უნდა იქნას აღიარებული ვადაგადაცილებულად.

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გაუფასურება კოლექტიურად შეფასდა. საკრედიტო პორტფელის სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

გაუფასურების შეფასება

სესხების გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ, მოხდა თუ არა ძირითადი თანხის ან პროცენტის ვადაგადაცილება 90 დღეზე მეტი ვადით ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შემთხვევაში, გარდა ამისა, ყურადღება ექცევა რაიმე სახის მიმდინარე სირთულეს კონტრაქტის ფულადი სახსრების მიმოქცევაში და ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტს. გაუფასურებული სესხების შეფასებას „ზანკი“ ახორციელებს ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებული რეზერვების მიხედვით.

ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურება

თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის „ზანკი“ ადგენს შესაფერის რეზერვს. რეზერვის ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია მსესხებლის ბიზნეს-გეგმის მდგრადობაზე, ფინანსური პრობლემის გამოსწორების შესაძლებლობებზე ფინანსური, დაგეგმილ მისაღებ თანხებსა და მოსალოდნელ დივიდენდებზე გაკოტრების შემთხვევაში, სხვა ხელმისაწვდომ ფინანსურ მხარდაჭერაზე, უზრუნველყოფის რეალიზებად ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დროულობაზე. გაუფასურების ხარჯები ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაუთვალისწინებელი მიზეზები მოითხოვს უფრო დეტალურ ყურადღებას.

კოლექტიურად შეფასებული გაუფასურება

რეზერვების კოლექტიური შეფასების მეთოდი გამოიყენება კლიენტებზე გაცემული იმ სესხებისა და ავანსების შემთხვევაში, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი (სამომხმარებლო და მცირე ბიზნესის კრედიტების ჩათვლით) ან ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხებისათვის, რომლებზედაც არ ფიქსირდება ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების ხარჯები ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად. კოლექტიური შეფასების მეთოდი ითვალისწინებს იმ გაუფასურებასაც, რომელიც წარმოდგენილია პორტფელში, თუმცა მისი მტკიცებულება ინდივიდუალური შეფასების დროს ჯერ არ ჩანს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები ფასდება შემდეგ ინფორმაციაზე დაყრდნობით: პორტფელთან დაკავშირებული ისტორიული ზარალი, არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, დროის მონაკვეთის ხანგრძლივობა ზარალის სავარაუდო წარმოშობიდან ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის საჭიროების დადგენამდე, აგრეთვე, გაუფასურების შემდგომ მოსალოდნელი მისაღები და ამოღებული თანხები. ადგილობრივი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განსაზღვროს დროის ის მონაკვეთი, რომლის შემდეგაც სესხი გაუფასურებულად გამოცხადდება. ზემოაღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობამ შეიძლება ერთი წელიც შეადგინოს. გაუფასურების რეზერვის შესაბამისობას „ზანკის“ საერთო პოლიტიკასთან ამოწმებს რისკების მართვის განყოფილება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ბითივი ბანკი“

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

„ბანკის“ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2012				2011			
	საქარ- თველო	ეთვო	დსთ და სხვა ქვეყნები	სულ	საქარ- თველო	ეთვო	დსთ და სხვა ქვეყნები	სულ
აქტივები:								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,067	6	232	8,305	6,491	-	-	6,491
მოთხოვნები	9,770	-	-	9,770	3,850	1,403	521	5,774
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ								
კლიენტებზე	75,409	-	-	75,409	71,564	-	-	71,564
გაცემული სესხები								
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:								
- გასაყიდად არსებული	20	-	-	20	-	-	-	-
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	2,873	-	-	2,873	3,533	-	-	3,533
ყველა სხვა აქტივი	30,342	8	-	30,350	35,386	33	100	35,519
	<u>126,481</u>	<u>14</u>	<u>232</u>	<u>126,727</u>	<u>120,824</u>	<u>1,436</u>	<u>621</u>	<u>122,881</u>
ვალდებულებები:								
ვალდებულებები	4,848	-	1,425	6,273	6,409	-	2,189	8,598
საკრედიტო დაწესებულებების წინაშე								
ვალდებულებები	30,590	509	4,129	35,228	22,019	1,845	3,372	27,236
კლიენტების მიმართ								
სხვა ნასესხები	-	-	49,802	49,802	-	-	45,452	45,452
სახსრები								
სუბორდინირებული სესხები	-	-	2,507	2,507	-	-	2,528	2,528
ანარიცხები	30	-	-	30	100	-	-	100
ყველა სხვა ვალდებულება	1,747	-	33	1,780	2,483	-	96	2,579
	<u>37,215</u>	<u>509</u>	<u>57,896</u>	<u>95,620</u>	<u>31,011</u>	<u>1,845</u>	<u>53,637</u>	<u>86,493</u>
წმინდა აქტივები / (ვალდებულებები)	<u>89,266</u>	<u>(495)</u>	<u>(57,664)</u>	<u>31,107</u>	<u>89,813</u>	<u>(409)</u>	<u>(53,016)</u>	<u>36,388</u>

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს იმას, რომ „ბანკმა“ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, „ბანკის“ ხელმძღვანელობა, ძირითადი სადეპოზიტო ბაზის გარდა, იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის მიხედვით, და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

„ბანკი“ ფლობს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელს, რომლის უზრუნველყოფითაც საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია „სებ“-იდან სახსრების მოზიდვა. „ბანკი“ ასევე ფლობს საკრედიტო ხაზებს, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს ლიკვიდურობის მიზნით.

„ბანკი“ აფასებს და მართავს ლიკვიდურობის პოზიციას საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ დაწესებული ლიკვიდურობის კოეფიციენტების მიხედვით. სებ-ის მოთხოვნით ბანკების ლიკვიდურობის კოეფიციენტი 30%-ს უნდა აღემატებოდეს. 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრისათვის კოეფიციენტები შემდეგი მნიშვნელობებით აღირიცხებოდა:

	2012	2011
ლიკვიდურობის კოეფიციენტი (ლიკვიდური აქტივების საშუალო თვიური მოცულობა/ვალდებულებების საშუალო თვიური მოცულობა)	34.70%	33.87%

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ბანკის“ ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღირიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, „ბანკი“ მოელოს, რომ შეანაბრეთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს „ბანკს“ მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია „ბანკის“ დეპოზიტების ფლობის ისტორიაში.

<i>ფინანსური ვალდებულებები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით</i>	<i>1-დან 3 თვემდე</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	4,862	-	-	1,680	-	6,542
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	17,007	3,575	9,933	5,900	617	37,032
სხვა ნასესხები სახსრები	-	-	-	62,203	-	62,203
სუბორდინირებული სესხი	-	2,552	-	-	-	2,552
ანარიცხები	30	-	-	-	-	30
სხვა ფინანსური ვალდებულებები	385	151	33	-	-	569
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	22,284	6,278	9,966	69,783	617	108,928

<i>ფინანსური ვალდებულებები 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით</i>	<i>1-დან 3 თვემდე</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	6,425	-	-	2,178	-	8,603
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	15,466	739	9,653	2,080	657	28,595
სხვა ნასესხები სახსრები	-	-	-	57,012	-	57,012
სუბორდინირებული სესხი	-	-	-	2,799	-	2,799
ანარიცხები	100	-	-	-	-	100
სხვა ფინანსური ვალდებულებები	293	163	63	67	-	586
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	22,284	902	9,716	64,136	657	97,695

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საკონტრაქტო ვადის ამოწურვას „ბანკის“ პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით.

	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან	3-დან	1-დან	5 წელზე	სულ
		3 თვემდე	12 თვემდე	5 წლამდე	მეტი	
2012						
გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილი	2,389	-	-	-	-	2,389
გაცემული გარანტიები	45	173	415	421	-	1,054
	<u>2,434</u>	<u>173</u>	<u>415</u>	<u>421</u>	<u>-</u>	<u>3,443</u>
2011						
გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილი	2,272	-	-	-	-	2,272
გაცემული გარანტიები	58	3	1,950	1,269	-	3,280
	<u>2,330</u>	<u>3</u>	<u>1,950</u>	<u>1,269</u>	<u>-</u>	<u>5,552</u>

„ბანკის“ ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. აღნიშნული ნაშთები შესულია ზემოთ არსებული ცხრილის „მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით“ კატეგორიაში.

კლიენტების წინაშე ვალდებულებებს მიეკუთვნება ფიზიკურ პირების ვადიანი ანაზრები, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით „ბანკი“ ვალდებულია, შეანაზრეს ანაზრედან ნაშთის გატანის საშუალება მისცეს ამის თაობაზე მისგან მოთხოვნის მიღებისთანავე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დინამიკა ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი და კაპიტალის ფასები. უცხოური ვალუტის კონცენტრაციის გარდა, „ბანკის“ წინაშე არ არსებობს რაიმე სახის მნიშვნელოვანი საბაზრო რისკის კონცენტრაცია.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. დირექტორთა საბჭო ადგენს რისკის ლიმიტებს ვალუტების მიხედვით, აღნიშნული ლიმიტები შესაბამისობაშია „სებ“-ის მიერ დადგენილ ნორმებთან. პოზიციების კონტროლი წარმოებს ყოველდღიურად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებშიც გამოხატულ არაკომერციულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე „ბანკს“ 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი აქვს. ანალიზის დროს, ფასდება უცხოური ვალუტის ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც მოგება-ზარალის ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრნობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). კაპიტალზე ეფექტი არ განსხვავდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტისგან. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის ანგარიშგებას ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ზითივი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ვალუტა	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება 2012	ეფექტი დაბეგვრამდე მოგებაზე 2012	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება 2011	ეფექტი დაბეგვრამდე მოგებაზე 2011
აშშ დოლარი	(0.75%)/0.75%	(18)/18	(5.80%)/5.80%	(148)/148
ევრო	1.34%/ (1.34%)	(19)/19	(7.56%)/7.56%	10/(10)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. „ბანკი“ ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, „ბანკი“ ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, შედგენადობის, ავტორიზაციისა და გადასინჯვის პროცედურებს, თანამშრომლების სპეციალიზირებასა და შიდა აუდიტს.

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

შეფასების ტექნიკის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და წარდგენისათვის ჯგუფი შემდეგ იერარქიას იყენებს:

- ▶ დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- ▶ დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს.

შემდეგი ცხრილში მოცემულია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი იერარქიული დონეების მიხედვით:

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	20	-	20
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ზანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

წინამდებარე ცხრილში მოცემულია „ზანკის“ ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო და სამართლიანი ღირებულებების შედარება, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ არის ასახული სამართლიანი ღირებულებით. ცხრილი არ მოიცავს ისეთ მუხლებს, რომელთა სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მის საბალანსო ღირებულებასთან, როგორცაა ლიკვიდური ან მოკლევადიანი (3 თვემდე ვადის ან მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე) ინსტრუმენტები.

	საბალანსო სამართლიანი ღირებულება		აუღიარებელი მოგება / (ზარალი)	საბალანსო სამართლიანი ღირებულება		აუღიარებელი მოგება / (ზარალი)
	2012	2012	2012	2011	2011	2011
ფინანსური აქტივები						
კლიენტებზე გაცემული სესხები	75,409	75,409	-	71,564	71,564	-
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,873	2,984	111	3,533	3,511	22
ფინანსური ვალდებულებები						
ვალდებულებები						
კლიენტების მიმართ	35,228	35,253	25	27,236	26,093	1,143
სხვა ნასესხები სახსრები	49,802	49,802	-	45,452	45,452	-
არარეალიზებული სამართლიანი ღირებულების მთლიანი უღიარებელი ცვლილება			136			1,165

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთი (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე დეპოზიტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ზაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითიუი ზანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

28. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. რისკის მართვა „ზანკის“ საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებისათვის იხილეთ 26-ე შენიშვნა.

	2012			2011		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
	ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,305	-	8,305	6,491	-	6,491
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	9,770	-	9,770	5,774	-	5,774
კლიენტებზე გაცემული სესხები	10,376	65,033	75,409	11,940	59,624	71,564
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-	-	-
- გასაყიდად არსებული დაფარვის ვადამდე ფლობილი	-	20	20	-	-	-
	1,950	923	2,873	1,070	2,463	3,533
სხვა ფინანსური აქტივები	117	243	360	371	-	371
სულ	30,518	66,219	96,737	25,646	62,087	87,733
ფინანსური ვალდებულებები						
ვალდებულებები საკრედიტო-ფინანსური დაწესებულებების წინაშე	4,858	1,415	6,273	6,420	2,178	8,598
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	29,876	5,352	35,228	25,153	2,083	27,236
სხვა ნასესხები სახსრები	-	49,802	49,802	-	45,452	45,452
სუბორდინირებული ვალი ანარიცხები	2,507	-	2,507	-	2,528	2,528
	30	-	30	100	-	100
სხვა ფინანსური ვალდებულებები	569	-	569	519	67	586
სულ	37,840	56,569	94,409	32,192	52,308	84,500
წმინდა	(7,322)	9,650	2,328	(6,546)	9,779	3,233
კუმულაციური ვადიანობის გეპი	(7,322)	2,328	2,328	(6,546)	3,233	3,233

„ზანკის“ მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი დამოკიდებულია მის მიერ დროის იმავე მონაკვეთში ეკვივალენტური ოდენობის აქტივების რეალიზაციაზე. არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულების გეპი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია ერთ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში. ლიკვიდურობის გეპის შესახებ „ზანკის“ ხელმძღვანელობის შეფასებებისა და განხილვებისთვის იხილეთ მე-3 შენიშვნა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ზითივი ზანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

29. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთია:

2012 და 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა შორის განხორციელებული გარიგებების მიმდინარე ბალანსი შემდეგნაირია:

	2012			2011		
	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული პირები	ბელმძღვა-ნელობის ზედა რგოლი	აქციონერები	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული პირები	ბელმძღვა-ნელობის ზედა რგოლი	აქციონერები
მოთხოვნები ზანკების მიმართ	-	-	377	-	-	-
1 იანვრის მდგომარეობით დასაფარი საერთო სესხი წლის განმავლობაში გაცემული სესხი	-	-	404	-	-	302
სესხის დაფარვა წლის განმავლობაში	-	-	34	11	-	274
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი საერთო სესხი გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(65)	(11)	-	(172)
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი სესხი, წმინდა	-	-	373	-	-	404
ანაზრები 1 იანვრის მდგომარეობით წლის განმავლობაში მიღებული ანაზრები	-	-	76	-	-	29
წლის განმავლობაში დაფარული ანაზრები	-	-	16	-	-	52
ანაზრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(15)	-	-	(5)
მიმდინარე ანგარიშები 31 დეკემბრის მდგომარეობით	14	160	39	14	235	75
სხვა აქტივები	-	775	-	-	925	-
სხვა ვალდებულებები	-	-	45	-	-	94
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე (მე-15 შენიშვნა)	1,415	-	-	2,178	-	-
სხვა ნასესხები სახსრები (მე-17 შენიშვნა)	49,802	-	-	45,452	-	-
სუბორდინირებული სესხი (მე-18 შენიშვნა)	2,507	-	-	2,528	-	-
გაცემული გარანტიები	-	-	10	-	-	32

ერთი ჯგუფის ქვეშ გაერთიანებული საწარმოები ისეთი საწარმოებია, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან რამდენიმე შუამავლით იმართებიან ან კონტროლდებიან ან “ზანკთან” ერთად იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ (მათ შორის შვილობილი და მასთან დაკავშირებული კომპანიები და ჰოლდინგური კომპანიები).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითივი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

29. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი:

	<i>31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</i>					
	<i>2012</i>			<i>2011</i>		
	<i>საერთო კონტროლს ხელმძღვანელობის დაქვემდებარებული პირები</i>			<i>საერთო კონტროლს ხელმძღვანელობის დაქვემდებარებული პირები</i>		
<i>აქციონერები</i>	<i>რგოლი</i>	<i>რგოლი</i>	<i>რგოლი</i>	<i>რგოლი</i>	<i>რგოლი</i>	<i>რგოლი</i>
საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან	-	-	36	-	-	58
სესხის გაუფასურების დანარიცხი	-	-	179	-	-	(51)
კლიენტების მიმართ ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	-	-	5	-	-	3
საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	180	-	-	260	-	-
სხვა წასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	4,773	-	-	3,449	-	-
სუბორდინირებული სესხის საპროცენტო ხარჯი	223	-	-	228	-	-
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	1	6	2	1	17	2
საკომისიო ხარჯი	2	-	-	-	17	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	150	-	-	125	-

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	<i>2012</i>	<i>2011</i>
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	<u>900</u>	<u>748</u>
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	<u><u>900</u></u>	<u><u>748</u></u>

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობის მიმართ დავალიანება მოიცავს 2011 წელს დარიცხულ 55 ლარის ბონუსებს და 2012 წლის საშვებულებო ანაზღაურებას 45 ლარის ოდენობით (2011 წ.: 39 ლარი).

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მთავარი რგოლი შედგებოდა სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრისგან და დირექტორატის 6 წევრისგან.

2011 და 2010 წლებში "ბანკს" სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან მნიშვნელოვანი ოპერაციები არ ჰქონია.

30. კაპიტალის ადეკვატურობა

"ბანკი" ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. "ბანკის" კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

„ბანკის“ კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია (i) „ბანკის“ შესაბამისობის უზრუნველყოფა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნებთან (ii) „ბანკის“ ფუნქციონირებად საწარმოდ შენარჩუნება (iii) კაპიტალის საკმარისი დონის შენარჩუნება, რომ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტმა შეადგინოს სულ მცირე 12%. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან შესაბამისობის შემოწმება ხდება ყოველთვიურად საანგარიშო მოხსენების სახით, რომელშიც ნაჩვენებია შესაბამისი გამოთვლები და რომელსაც ხელს აწერს ბანკის გენერალური დირექტორი და მთავარი ბუღალტერი, რის შემდეგაც საანგარიშო მოხსენება იგზავნება სებ-ში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს "ბითიეი ბანკი"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

30. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

„ბანკი“ მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტორების მიზნით „ბანკმა“ შესამღებელია უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით. წინა წლებიდან „ბანკის“ მიზნები, სტრატეგია და პროცედურები არ შეცვლილა.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

სებ-ის მოთხოვნით ბანკების რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი მინიმუმ 12%-ს უნდა შეადგენდეს (2011 წ.: 12%), ხოლო პირველი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი - 8%-ს (2011 წ.: 8%). 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები იყო:

	2012	2011
ძირითადი კაპიტალი	20,865	26,183
დამატებითი კაპიტალი	1,164	1,711
სულ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი	22,029	27,894
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	154,038	156,557
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	14.30%	17.82%
პირველი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	13.55%	16.72%

მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი შედგება ძირითადი კაპიტალისგან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას, მიმდინარე წლის მოგების ჩათვლით. ფასს-ის მიხედვით მიღებული შედეგები და რეზერვები გარკვეულწილად კორექტირდება სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად. მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კიდევ ერთი კომპონენტია დამატებითი კაპიტალი, რომელშიც შედის სუბორდინირებული ვალი და გადაფასების რეზერვი.

31. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

2013 წლის ივნისში ბითიეი ბანკი (ყაზახეთი) დათანხმდა ბითიეის (საქართველო) მთლიანი დავალიანების რესტრუქტურისაგიაზე, თუ ფინანსური ჯგუფი "სილქ როუდი" მას უზუნველყოფს თავისი აქციების 24%-იანი წილით, ხმის უფლებას ამ აქციებზე გადასცემს ბითიეი ბანკს (ყაზახეთი), დაფარავს სუბორდინირებულ სესხს, რომელიც 2013 წლის მარტში უნდა დაეფარა „ბანკს“ და გაზარდოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობას. ფინანსურ ჯგუფს "სილქ როუდი" და „ბანკს“ შეუძლიათ ბითიეი ბანკის (ყაზახეთი) მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილება, თუმცა ისინი ჯერ დეტალებზე მოლაპარაკებას აპირებენ (მე-3 შენიშვნა).